

მარნეულის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მინი ფეხბურთში

2018 წლის 14 სექტემბერი

## დებულება

### 1. მიზანი და ორგანიზება

ა. ტურნირი ტარდება როგორც ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიზნით ასევე ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით და ტურნირის ორგანიზატორებს სურთ ტურნირში მონაწილე მოყვარულმა ფეხბურთელებმა წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები.

ტურნირს ორგანიზებას უწევს მარნეულის მუნიციპალიტეტი და მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა.

ბ. ტურნირი წარიმართება ფეხბურთის ზოგადი წესების და „პატიოსანი თამაშის წესების“ (faie play) წესების დაცვით. ტურნირის ყველა მონაწილე ვალდებულია დაემორჩილოს დებულების წესებს.

### 2. მონაწილეობა

ა. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების თანამშრომლებისგან შემდგარი გუნდები.

ბ. თითოეული გუნდი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი წევრები ტრანსპორტით და მასურებით. სამატჩო განაცხადში დასაშვებია არაუმეტეს 10 მოთამაშის შეყვანა.

გ. ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ავსებენ საერთო განაცხადს. განაცხადი უნდა იქნეს წარდგენილი მუნიციპალიტეტში 2018 წლის 18 სექტემბრამდე (ან გამოგზავნილი ელექტრონულ მისამართზე betqilnaveriani@gmail.com).

### 3. შეჯიბრების ჩატარების პირობები

ა. ტურნირი იმართება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი შედგება ჯგუფური სისტემისგან, ჯგუფების რაოდენობა დგება მოთამაშე გუნდების ოდენობიდან გამომდინარე კენჭისყრის საფუძველზე

ბ. მეორე ეტაპი გაიმართება შემგევი სისტემით 1/2ფინალი და ფინალი.

გ. 1/2ფინალი და ფინალის თამაშისას, ძირითად დროში ფრედ დასრულების შემთხვევაში ინიშნება დამატებით ერთი 5 წუთიანი ტაიმი. დამატებითი ტაიმის ფრედ დამთაბრების შემთხვევაში ინიშნება პენლების სერია.

დ. გუნდების მიერ ტურნირში დაკავებული ადგილები განისაზღვრება დაგროვილი ქულების მიხედვით (მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 ქულა, წაგება – 0 ქულა).

ე. ორ ან რამდენიმე გუნდის მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც აქვს:

ვ. ა) ქულათა მეტი რაოდენობა ურთიერთმეხვედრებში, ბ) მოგებათა მეტი რაოდენობა, გ) გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა, დ) გატანილი გოლების რაოდენობა, ე) კენჭისყრა

ზ. თამაშს ეყოლება მასპინძელი ან ნომინალური მასპინძელი გუნდი.

თ. თამაშის დასაწყებად აუცილებელია განაცხადში მყოფი მინიმუმ 6 ფეხბურთელი . წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდს ჩაეთვლება წაგება ანგარიშით 0:3, ისევე, როგორც თამაშზე გამოუცხადებლობის ან დათქმულ დროზე 10 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში.

ი. თამაშის დაწყებამდე გუნდის წარმომადგენლები ვალდებული არიან შეავსონ მატჩის განაცხადი. ფეხბურთელები შეყვანილი უნდა იყვნენ განაცხადში ნომრების მიხედვით. გუნდის წარმომადგენელი არ შეიძლება თამაშობდეს გუნდში.

კ. თამაშის ოქმს ხელს აწერენ გუნდების კაპიტნები. გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ოფიციალური პირები (სახელი, გვარი, თანამდებობა), რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში.

ლ. შეხვედრა 2 ტაიმიანია. ტაიმის ხანგრძლივობა შეადგენს 10 წუთს და ტაიმებს შორის შესვენება 5 წუთია.

მ. ზუსტ დროს აღრიცხავს მხოლოდ შეხვედრის მთავარი მსაჯი.

ნ. ტურნირის სამოყვარულო სტატუსიდან გამომდინარე გუნდი უფლებამოსილია განახორციელოს 7 შეცვლა.

## 5. სხვა პირობები

ა. მონაწილე გუნდების ასაკი შეუზღუდავია.

ბ. თამაშის დაწყებამდე ორივე გუნდი უნდა გახურდეს ერთდროულად.

გ. თამაშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე ორივე გუნდის მოთამაშეები ვალდებული არიან დაასრულონ გახურება და ჩაიცვან შესაბამისი ფორმები.

დ. მკვეთრად მსგავსი ან ერთნაირი ფორმების აღმოჩენის შემთხვევაში მასპინძელი გუნდი იკეთებს განმასხვავებელ ნიშნებს (სამკლავური, თავსახვევი და ა.შ) რაც აღინიშნება ოქმში.

ე. ყოველ გუნდს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სახელწოდება.

ვ. აკრძალულია თამაშზე ფსონების, სანიძლავს დადება, ან რაიმე წახალისების შეპირება თუ ეს არაა შეთანხმებული ტურნირის ორგანიზატორებთან.

ზ. არავის აქვს უფლება მითითებები მისცეს მსაჯს. მსაჯის შეურაცხყოფის ან მსაჯზე ზემოქმედების მცდელობისას შეხვედრა ცხადდება ჩაშლილად და ორივე გუნდი იხსნება შეჯიბრიდან.

თ. ყოველი გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია თამაშის დაწყებამდე გააფრთხილოს მისი მომხრე გულშემატკივრები, რომ საგნების სროლის, უწმაწური შეძახილების, მსაჯზე ზემოქმედების ან მოედანზე შემოჭრის შემთხვევაში ორივე გუნდი მოიხსნება ტურნირიდან.

ი. თუ თამაშის ჩატარება შეუძლებელია ამინდის პირობების გამო მთავარი მსაჯი და დელეგატი თანხმდებიან თამაშის გადადების და განმეორებითი შეხვედრის ჩატარების პირობებზე.

კ. ცალკეულ შემთხვევაში მსაჯი, საჭიროების შემთხვევაში დელეგატთან ერთად უფლებამოსილია გუნდებს მისცეს ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, ისე რომ ამან არ გამოიწვიოს თამაშის ჩაშლა.

საკონტაქტო: 599-62-52-62, 514-17-17-17, 595-96-87-77

## **6. დაჯილდოვება**

I, II და III ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის სიგელებით და დიპლომებით, გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა გარდამავალი თასი.